



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**აგრაარულ საკითხთა, ქონების მართვისა და**  
**ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია**



დასკვნა:დ08. 3722325001

თარიღი:21/11/2022

**დასკვნა**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის განაცხადის პროექტზე**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი (პრიორიტეტების დოკუმენტი 2023-2025 წლებისათვის, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, განაცხადზე თანდართული ინფორმაციები), რომელიც შედგენილია პროგრამულ ფორმატში, ძირითადად აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ განხილვა-დამტკიცების მიზნით წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადი, განსაკუთრებით 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, მეტწილად პასუხობს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები 2022 წლის 01 იანვრის მდგომარეობით დადგენილი ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებს მნიშვნელოვნად აღემატება. 2023 წლისთვის დასაგეგმი ბიუჯეტის საბიუჯეტო ასიგნებები შემოსულობების ნაწილში 5 835 000 მილიონი ლარით მეტია, 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, ანუ ზრდა შეადგენს 21 პროცენტულ პუნქტს.

2023 წლის ბიუჯეტის პროექტის კომისიის სხდომაზე განხილვის პროცესში გამოიკვეთა ცალკეული რეკომენდაციები და წინადადებები, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის პროექტში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ბიუჯეტის ნარისხს და უფრო სრულყოფილს გახდის მას, ასე მაგალითად:

1. სერიოზული გადამუშავებას მოითხოვს პროექტების განხორციელების შედეგების შეფასების ინდიკატორების მაჩვენებლები.

2. კონკრეტიზაციას მოითხოვს ქვეპროგრამების - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის ფუნქციონირება“, „მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“, „სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“.

3. პრიორიტეტულია - „ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა“ - დაფინანსება დასაგეგმი 2023 წლისათვის 2022 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 35 ათასი ლარით, მათ შორის 15 ათასი ლარით გაიზარდა ა(ა)იპ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის დაფინანსება, ხოლო 20 ათასი ლარი დაემატა „მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამას. ჯერ ერთი, პრიორიტეტი „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა“ უთუოდ იმსახურებს აღნიშნული პრიორიტეტის დაფინანსების მნიშვნელოვან ზრდას და მეორე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების რეალური შესაძლებლობები და რეზერვები აგროსამრეწველო სექტორშია. ამ მოცემულობის პირობებში ზემოთ აღნიშნული პრიორიტეტის პროგრამების/ქვეპროგრამების - „სოფლის მეურნეობის განვითარება“ და „მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“ ჯამური

დაფინანსების განსაზღვრა 130,0 ათასი ლარის ოდენობით, ვერ იქნება სასურველი შედეგების მომტანი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მერისათვის დაბრუნების შესახებ.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

